პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოდის მე-17 წელი.

№ 50 (1686) ○ სამშაბათი, 25 აპრილი, 1961 წ. ○ ფასი 3 კაპ.



საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ნაკრები გუნდების ჭიდაობა კალათბურთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვში, სპორტის სასახლეში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელთა ნაკრები გუნდების პირველი ამხანაგური შეხვედრა, რომელმაც სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

მოედანზე პირველად ქალთა გუნდები გამოვიდნენ. საბჭოთა კალათბურთელებმა დასაწყისშივე ხელთ იგდეს ინიციატივა და ანგარიში წაიყვანეს, სტუმრებს ყოველგვარი ცდა, გაეთანაბრებინათ ანგარიში, ამაო გამოდგა. ტაიმი მოიგო საბჭოთა კავშირის ნაკრებმა — 31:21. მეორე ნახევარშიც უპირატესობა საბჭოთა სპორტსმენების მხარეს იყო, რომლებმაც მოიგეს კიდეც მატჩი — 65:48.

ვაჟთა გუნდების შეხვედრა ამერიკელთა იერიშებით დაიწყო, მაგრამ სულ მალე საბჭოთა კალათბურთელებმა გაქვითეს ანგარიში. შემდეგ ჩვენი გუნდი დაწინაურდა 6 ქულით, მაგრამ მცირე ხნით. მე-7 წუთისათვის ანგარიში გათანაბრდა — 15:15. უპირატესობა თანდათან ამერიკელთა მხარეს გადადის, რომლებიც იგებენ ტაიმს — 39:32. მეორე ნახევარში ინიციატივა კვლავ სტუმრების მხარესაა, ისინი იგებენ შეხვედრას ანგარიშით 78:68.

გუშინ გუნდები განმეორებით შეხვდნენ ერთმანეთს. ქალთა შორის გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 55:45, ვაჟთა შორის კი სტუმრებმა — 84:81.

* * *

სურათზე: ქალთა გუნდების მატჩის მომენტი.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

მე მჯერა ჩვენი გუნდისა

მოსკოვში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოფარიკაველთა ტურნირი. როგორც მოსალოდნელი იყო, ქალთა შორის რაპირით ფარიკაობაში ყველას აჯობა მოსკოველმა ა. ზაბელინამ. ვაჟთა შორის გაიმარჯვა — მ. მიდლერმა (მოსკოვი). აღსანიშნავია, რომ ფარიკაობის ამ სახეობის ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორებიც არიან ი. ოსიპოვი, ე. რიუმინი, ა. შველიოვი და სხვები ფინალურ ჯგუფში ვერ მოხვდნენ.

დაშნით ფარიკაობა დამთავრდა ერევნელი სპორტსმენის ვ. ჩერნიკოვის გამარჯვებით. მეორე ადგილზე გამოვიდა ა. ჩერნუშევიჩი. ჩვენი ქვეყნის უძლიერესმა მოფარიკაველებმა გ. კოსტავამ და ბ. ხაბაროვმა დაიკავეს მეხუთე-მეექვსე ადგილები. ხმლით ფარიკაობაში უძლიერესი იყო რსფსრ-ს წარმომადგენელი უ. მაველიხანოვი. ნ. ასათიანი მე-5 ადგილზე გამოვიდა.

* * *

სურათზე: ხმლით ფარიკაობაში შეჯიბრების ერთი მომენტი. ერთმანეთს ხვდებიან თბილისელი მ. სახვაძე და ი. პავლოვი. გაიმარჯვა ქართველმა სპორტსმენმა — 5:1.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

II საერთაშორისო

1960 წელს თბილისში გამართულმა ქალთა პირველმა საერთაშორისო ტურნირმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ტურნირმა თვალნათლივ დაგვანახვა ჩვენი მოჭიდრაკე ქალების სპორტული ზრდა. ამავე წლის დამლევს ნ. გაფრინდაშვილმა პირველმა ქართველ მოჭიდრაკეთა შორის მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლება.

კიდევ უფრო დიდ ინტერესს იწვევს თბილისის ქალთა მეორე საერთაშორისო ტურნირი, რომელიც დღეს იწყება. შეჯიბრებაში მოწვეული არიან სოციალისტური ქვეყნების სახელგანთქმული მოჭიდრაკეები, საერთაშორისო ოსტატები ვრეტოვა (ჩეხოსლოვაკია), ლიბერტი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), შილდენე (უნგრეთი), ივანოვიჩი (იუგოსლავია), და ჩვენი ქვეყნის ცნობილი მოჭიდრაკეები საერთაშორისო ოსტატი კ. ზვორიკინა, ოსტატები ვ. ტიხომიროვა (მოსკოვის ოლქი) და ა. კუშნირი (მოსკოვი). ბრძოლაში ჩაებმევიან მასპინძლები ნ. გაფრინდაშვილი, მ. ტოგონიძე, ე. კაკაბაძე და ა. ჩაიკოვსკაია.

ტურნირის მთავარი არბიტრია, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ქ. ვოგიკა.

მატჩ-რევანშის მეთექვსმეტე პარტია

გუშინ, გაიმართა მ. ტალი-მ. ბოტვინიკის მატჩ-რევანშის XVI პარტია. თვრამეტი თამაშობდა მსოფლიო ჩემპიონი. დებიუტშივე მ. ტალმა მოიგო პაიკი, მაგრამ ამის მიუხედავად დაფაზე რთული ვითარება შეიქმნა. საკონტროლო სვლების შემდეგ პარტია გადაიდო, სადაც მ. ტალს უკეთესი მდგომარეობა აქვს.

ᲛᲔ ᲛᲯᲔᲠᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡᲐ

გავლილია საკავშირო ჩემპიონატის მხოლოდ სამი ტური და ფეხბურთის მოყვარულთა შორის მოუთმენლობას აქვს ადგილი — ყველა ელის დასკვნებს. თბილისის „დინამოს“ ქომაგებს სურთ იცოდნენ — შეძლებს მათი გუნდი ოქროს მედლების მოპოვებას თუ არა, საპრიზო ადგილზე გასვლას მაინც?

რა შეიძლება ითქვას. გუნდი უდავოდ კარგი გვყავს, რეზერვიც შესაფერისია, თუმცა დინამოელები ჯერ ვერ თამაშობენ ისე, როგორც მათ შეუძლიათ, ან როგორც ჩვენ გვინდა. მე კი მჯერა ჩვენი გუნდისა და დარწმუნებული ვარ, რომ იგი კვლავ აჩვენებს თავის კლასს. რაც შეეხება ადგილს, რა შეიძლება ითქვას ახლა, გათამაშების დასაწყისში.

საერთოდ, პროგნოზები სარისკო საქმეა. საკმარისი არაა იცნობდე მხოლოდ შენს გუნდს, უნდა ზედმიწევნით კარგად შეისწავლო მოწინააღმდეგეთა თამაშიც.

ჩვენი გუნდი სადღეისოდ უაღრესად ძლიერ კოლექტივს წარმოადგენს, მაგრამ როდის გაშლის იგი სრულად თავის პოტენციურ შესაძლებლობებს. პოლოსდაბოლოს რამდენჯერ უთამაშია ჩვენს გუნდს კარგად, მაგრამ მატჩები წაუგია, ახლა კი, რაც არ უნდა თქვათ, 6 ქულა აქტივშია.

ფეხბურთის მოყვარულნი მართალი არიან: სამი გამარჯვება გვაქვს, მაგრამ მორალური კმაყოფილება ჩვენი გუნდის თამაშიდან ჯერ არ მიგვიღია.

ყველაზე მეტ შეშფოთებას იწვევს ის, რომ თბილისელები ტრაფარეტულად თამაშობენ. ვის შეუძლია დაგვარწმუნოს, რომ დღეს შეიძლება მიაღწიო გამარჯვებას გუშინდელი საშუალებებით. მოწინააღმდეგის რიგების აღრევა, მისი გამოყვანა წონასწორობიდან შეიძლება მხოლოდ სიახლით, ტაქტიკის ძალა მდგომარეობს მოულოდნელობაში, ბრძოლის საშუალებათა, მეთოდებისა და ფორმების გამოყენების სიახლეში. რამდენიც უნდა „კოზირი“ გვყავდეს, ყველა ისინი არასაკმარისი იქნებიან „ღია კარტებით“ თამაშისათვის. რაც არ უნდა რთული იყოს ბოკლომის მექანიზმი, გასაღების მორგება მისთვის ყოველთვის შეიძლება.

განა შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, რომ თვითეული მცველის საზრუნავს წარმოადგენს ბრძოლის საშუალებათა გამონახვა მესხისა თუ სხვა თავდასხმელთა საწინააღმდეგოდ? და თუ ფორვარდს შემოაკლდა ახალი ფანდები შეტევისათვის, მის საიდუმლოებას მალე ამოხსნიან.

ესაა ყოველგვარი შზამისათვის საწინააღმდეგო წამლის ძიების ბუნებრივი პროცესი და ამის საუკეთესო მაგალითია მატჩ-რევანში მ. ტალსა და მ. ბოტვინიკს შორის. ტალმა შარშან მიაღწია ბრწყინვალე გამარჯვებას სწორედ იმის ხარჯზე, რომ გამოძებნა ბოტვინიკისათვის მოულოდნელი სიახლენი, ახლა კი რევანშის დროს ტალის სიახლენი მოძველდა და ბრძოლის სასწორიც ბოტვინიკის მხარეს გადაიხარა. თუ ტალი კვლავ მიაგნებს რაიმე ახალსა და ორიგინალურს, შეიძლება წარმატებასაც მიაღწიოს. ეს ასეა ყოველთვის: ახალი იმარჯვებს. ძველი ჯაგლაგით შორს ვერ წახვალ.

უაღრესად ძნელია იბრძოლო ფეხბურთში პირველი ადგილისათვის ჩვეულებრივი საშუალებებით, ისევე, როგორც იბრძვიან სხვა პრეტენდენტები, როცა ვერც გაარჩევ ვინ არიან სამხრეთელები და ვინ ჩრდილოეთელები.

როგორ შეიძლება არ გაიხსენო ჩვენი გუნდის თამაში წარსულში, იყო შემთხვევები, როცა თბილისის „დინამოში“ თამაშობდნენ არა მარტო ქართველები, მაგრამ ტემპი და ტემპერამენტი გუნდს ყოველთვის აშკარად გამოკვეთილი ქართული ჰქონდა. მას არა მარტო განსხვავებული ტაქტიკა ახასიათებდა, არამედ მოულოდნელობანიც, სიურპრიზებიც. ამიტომ იყო, რომ იგი მრისხანე ძალას წარმოადგენდა ყოველთვის, და ამიტომაა, რომ ამ თვისებათა დაკარგვა ახე დაეჩნა მის საბრძოლო ძალას.

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ყოველი გუნდი საგანგებოდ ემზადება გათამაშებისათვის და უმგტესობა ვარაუდობს ცხრილის ზემო ნახევარში მოხვედრას. რად ვარგა ის ჯარისკაცი, რომელიც გენერალად გახდომას არ ფიქრობს, ამიტომ უნდა მოველოდეთ ყოველგვარ სიურპრიზებს და მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ მოულოდნელ „საჩუქრებს“ ჩვენი გუნდიც მოუმზადებს მოწინააღმდეგეებს. წინაა უაღრესად სერიოზული მატჩები ძლიერ მეტოქეებთან და დარწმუნებული ვარ, ჩვენი გუნდი სრული ძალით ათამაშდება. დადგა დრო, როცა უნდა ვაჩვენოთ ჩვენი ფეხბურთის ნამდვილი სიძლიერე.

ბევრი წაგვიკითხავს ქება ჩვენი გუნდის მიმართ, მაგრამ ეს კომპლიმენტები ბოლოსდაბოლოს მოსაწყენია. თვითონ განსაჯეთ: რომელი მომდერალი შეურიგდება დეტონაციას: ცრუ ნოტებს, თუ მას აქვს ლამაზი ხმა და დიდი მუსიკალურობა. თავისებური მუსიკალურობა ჩვენს გუნდს არ აკლია, მაგრამ მასში ჯერ კიდევ უამრავ სიყალბეს აქვს ადგილი. ყველა ეს ზედმეტი შეჩერება, ზედმეტი საფეხურები, არეულობა ადრესატის ძებნისას და სხვა მისთანანი, აშკარად სიყალბეებია. ეს დეტონაცია უნდა მოვიცილოთ, ყალბი სწორად გავმართოთ და ანსამბლის ყღერადობა ავაწყოთ ისე, რომ ქართული სიმღერა მთელი თავისი სიმშვენიერით გაისმოდეს მწვანე მინდორზე. მაშინ ფეხბურთის მოყვარულნი ნახავენ ნამდვილ თამაშს.

მე პასუხისმგებელი ვარ ყველა იმ „ლირიკული უკანდახევისათვის“, რომელიც ზემოთ დავუშვი. მე მსურს კვლავ ვიხილო თბილისის „დინამოს“ ბრწყინვალე თამაში. მე მჯერა ჩვენი გუნდისა.

ა. ᲒᲐᲚᲐᲯᲘᲜᲘ,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ᲧᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲐ!

ᲮᲕᲐᲚ, 20 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲓᲐ 30 ᲬᲣᲗᲖᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲙᲘ ᲓᲠᲝᲘᲗ ᲢᲠᲐᲜᲡᲚᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡᲐ“ ᲓᲐ ᲠᲝᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲐᲘᲛᲘ.

რეპორტაჟი
თბილისის
კოოპერაციული
ტექნიკუმიდან

ბრძოლის ენარჩანი კოლექტივი ყველა სპორტული წარმატების თავდებია!



კვლავ ვიქნებით მოწინავენი

დასამალი როდია, რომ სწავლებლისა და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები ხშირად საყვედურობენ დაბალი აკადემიური მოსწრების, ახალგაზრდების მიერ დისციპლინის დარღვევისა და სხვა ამგვარ ფაქტებზე, მათ ავიწყდებათ, რომ მომავალ თაობას მარტო სწავლა ან შრომა როდი აკმაყოფილებს, მათთვის ასევე აუცილებელია ორგანიზებული გართობა, საზოგადოებრივი საქმიანობა და რაც მთავარია, ფიზკულტურა და სპორტი. იქ, სადაც ეს მნიშვნელოვანი საქმე სათანადოდაა დანერგილი, მაღალია სწავლის ხარისხი, იზრდება შრომის უნარიანობა და მტკიცდება დისციპლინა.

ეს ჩვენ კარგად ვიცით და ამიტომაც ვცდილობთ ყველა პირობა შევუქმნათ ახალგაზრდებს ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობისათვის. პედაგოგიური საბჭოს, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ბიუროს სხდომებზე თითქმის რეგულარულად ვისმენთ სპორტის საკითხებს, ხან მთლიანად ტექნიკუმის მასშტაბით, ხან ცალკეულ კურსებზე ან სექციებში მუშაობის შესახებ, ვახალისებთ მოწინავეებს და სათანადოს ვუზღავთ ჩამორჩენილებს, ვსახავთ მომავლის გეგმებს, ანალიზს ვუკეთებთ ჩატარებული შეჯიბრების შედეგებს.

კიდევ ერთი. ჩვენი სპორტსმენები არცერთ შეჯიბრებაზე არ გრძნობენ თავს „ობლად", მათ ფიზაღზრდის ხელმძღვანელის გარდა ყოველთვის თან ახლავთ პედაგოგი, რომელიც პასუხისმგებელია გუნდის როგორც მორალური, ისე ტექნიკური მხარისა.

მუშაობის ასეთი ხერხებით დღითი დღე იზრდება ახალგაზრდობის ფიზკულტურითა და სპორტით დაინტერესება. ჩვენს ტექნიკუმს აკადემიური მაჩვენებლებიც კარგი აქვს და სპორტშიც მოწინავეები ვართ. ჩვენი მიზანია არასოდეს არ დავტოვოთ მოწინავეთა რიგები და სამშობლოს მივცეთ მაღალკვალიფიციური ჯან-ღონით სავსე კადრები.

გ. ზუმბურიძე,
ცეკავშირის კოოპერაციული ტექნიკუმის დირექტორი.

სტარტი კარგია ფინიში უკეთესი იქნება

თბილისის კოპერაციულ ტექნიკუმში ისეთივე პატივისცემით სარგებლობს ფიზკულტურა და სპორტი, როგორც სხვა სპეციალური საგნები. ტექნიკუმის ხელმძღვანელობას კარგად ესმის ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობის მნიშვნელობა. ამ საერთო ხიყვარულმა, არა ერთხელ სახიხარულო შედეგიც მოუტანა ტექნიკუმს.

...ეს იყო ამ ოთხიოდე წლის წინათ. ლვოვში ცენტრალური სამმართველო კოოპერაციული ტექნიკუმის მოსწავლეთა მეორე საკავშირო სპარტაკიადა უნდა ჩატარებულიყო. ამ დროისათვის თბილისის კოოპერაციულ ტექნიკუმს სპორტული ბაზები არ გააჩნდა, კალინინის ქუჩაზე მდებარე ტექნიკუმის ძველ შენობასთან მათი მოწყობის არავითარი შესაძლებლობა არ არსებობდა, სამაგიეროდ, დიდი იყო დირექციის, მოსწავლეთა და ფიზაღზრდის ხელმძღვანელის შ. გონენაშვილის სურვილი — რადაც არ უნდა დაჯდომოდათ გასულიყვნენ საკავშირო ასპარეზზე და უძლიერესის სახელი მოეპოვებინათ.

ხექციებმა, რომლებიც „პიშჩევიკის" ბაზებზე ვარჯიშობდნენ, გაორკეცეს მუშაობა, დაირაზმა ფიზკულტურული აქტივი, მასწავლებელს გვერდში ამოუდგნენ წმაყვანი სპორტსმენები, ტექნიკუმის პედაგოგები და... ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, მტკიცე, მონოლითურ კოლექტივს გზა დაულოცეს ლვოვისაკენ.

ფრენბურთში, მძლეოსნობაში, კალათბურთსა და სხვა სახეობებში უხდებოდათ მათ ბრძოლა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რესპუბლიკიდან ჩამოხულ თანამოსაკმეებთან, რომელთა შორის ბევრი იყო ისეთი, რომელიც ახალბედებისათვის წინასწარ მზოლოდ ბოლო ადგილებს იმეტებდნენ. მაგრამ როგორც ეს ხშირად ხდება სპორტში, პროგნოზები არ გამართლდა. თბილისელები შეუპოვრად მიიწევდნენ წინ, მაგრამ „ხაწვავი" არ ეყოთ ბოლომდე და საერთო მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ. ეს იყო პირველი გასვლა დიდ ასპარეზზე და პირველი დიდი გამარჯვება.

გადიოდა წლები, იცვლებოდა კონტინგენტი, ნაწილი ამთავრებდა და მიდიოდა, მათ ადგილს ხხვები იკავებდნენ, მაგრამ ტრადიცია უფრო მტკიცდებოდა და ძლიერდებოდა, იზრდებოდა ფიზკულტურის კოლექტივის წარმატებანი. იგი უფრო შესამჩნევი გახდა მას შემდეგ, რაც კომინტერნის ქუჩაზე დაიწყო ტექნიკუმის ახალი კორპუსის მშენებლობა. არაერთი საათი უშრომიათ მის კეთილმოწყობაზე ტექნიკუმელებს, განსაკუთრებით სპორტდარბაზის, გასახდელების, საშხაპეების მოწყობაზე გამოიჩინეს თავი.

როცა აქ ტექნიკუმის კედლებზე გამოფენილ სიგელებს, ფოტოსტენდებს ვათვალიერებდით, საუბარი ტექნიკუმის დირექტორის გ. ზუმბურიძის მიერ სპორტსმენთა ყველა წამოწყებისადმი მხარდაჭერაზე ჩამოვარდა. ახლაც ახსოვთ აქ მისი გასულ წელს ნათქვამი სიტყვები: გიყვარდეთ სპორტი, ახახელეთ ტექნიკუმი და ვეცდები პირობები კიდევ უფრო გაგიუმჯობესოთო.

დიდხანს არ ალოდინეს ახალგაზრდებმა. „სპარტაკის" საქალაქო ხიუბილეო სპარტაკიადაზე ხაერთო პირველი ადგილი მოიპოვეს.

არც დირექცია დარჩა ვალში. ტექნიკუმის ეზოში გაჩადდა ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნების მშენებლობა, ძირითადი სამუშაოების შეხრულება თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველომ იკისრა, მაგრამ ტექნიკუმელები ყოველ თავისუფალ დროს ნიჩბებით, წერაქვებითა და ხაზიდრებით ეხმარებოდნენ მშენებლებს. ამ დღეებში ორივე კეთილმოწყობილ მოედანზე პირველი ხაწვრთნელი ვარჯიშებიც ჩატარდა.

მშენებლობაზე განსაკუთრებით აქტიურად მუშაობდნენ ხაბუსმალტრო განხრის პირველკურხელები ფრენბურთელ ო. გადაბაძისა და მეორეკურსელები კალათბურთელ მ. ხაბეკიას ხელმძღვანელობით.

ტექნიკუმის ვრცელ ეზოში განზრახულია სახტომი ხექტორებისა და 100 მ ხარბენი ბილიკების მოწყობაც, სამუშაოები უკვე დაწყებულია. გაზრდილმა შესაძლებლობამ გაზრდილი მოთხოვნები დააყენა ტექნიკუმის ფიზკულტურული კოლექტივების წინაშე, უფრო ხახალისო და შემოქმედებითი გახდა აქტივის საქმიანობა. სპორტის შვიდ სახეობაში მომუშავე სექციებს მახწავლებელთა გარდა ხშირად თანრიგოსანი სპორტსმენები ხელმძღვანელობენ. ყველაზე მეტად კი გ. გრიგალაშვილი, და ე. ერემიანი არიან მონდომებულნი. პირველი კალათბურთელ ვაკთა, მეორე — მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდის თავები და ხშირად მათი ხაზოგადოებრივი მწვრთნელებიც არიან. ამიტომაც ყველაზე მეტი წარმატებანი აქვთ შიდახაკოლექტივო და ხამატჩო შეხვედრებში.

ამას წინათ ტექნიკუმის ფიზკულტურელთა კრება „სპარტაკის" კონკურსდათვალიერებაში მონაწილეობის საკითხს იხილავდა. გაეცვნენ დებულების ყველა პუნქტს, გაითვალისწინეს საკუთარი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს ამ ხაინტერესო შეჯიბრებაში ჩაბმა.

აი ტექნიკუმელთა აღებულ ვალდებულებათა შინაარსი: ტექნიკუმის მოსწავლეთა 90 პროცენტი ჩაბან სპორტულ ხექციებში, შექმნან ველოსიპედისტთა ხექცია, რეგულარულად მოაწყონ შიდახაკოლექტივო და ხამატჩო შეხვედრები, მიიღონ მონაწილეობა საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, გადაჭარბებით გაანადგონ ნიშნოსნების, თანრიგოსნების, ხაზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმები, მოაწყონ სპორტული ბაზები, რეგულარულად ჩაატარონ სპორტული ხალამოები და ა. შ.

ვალდებულებათა აღების შემდეგ ორი თვეც არ გასულა და ბევრ პუნქტში სიტყვა საქმედ აქციეს — უკვე გაანადგეს ვალდებულებანი ბაზების მოწყობის, ხექციების შექმნის, ახალი ფოტოსტენდის მოწყობის შესახებ. სტარტი კარგია და უნდა ვიფიქროთ, რომ ისეთ მონოლითურ მტკიცე ფიზკულტურულ კოლექტივში, როგორიც ცეკავშირის თბილისის კოოპერაციული ტექნიკუმია, კიდევ უფრო უკეთესი იქნება ფინიში.

ო. გელაშვილი

პრაქტიკამ გაამართლა

ჩვენთან ფიზკულტურის ორი სპეციალისტია, სპორტის მოყვარული კი ბევრი. ორი კაცი ყველას ხომ ვერ გაწვდებოდა. საჭირო იყო დახმარება. ამ საკითხის გადასაჭრელად ტექნიკუმის პედაგოგიურმა საბჭომ ნახა გამოსავალი — სხვა საგნის მასწავლებლებს თხოვა, შეძლებისდაგვარად, თუნდაც საორგანიზაციო საკითხებზე დახმარებოდენ კოლეგებს. როდესაც ეს გაკეთდა ნაყოფიც დავინახეთ. ტექნიკუმში მართალია თბილისელებს არ დებულობენ და იგი, ასე ვთქვათ, რაიონის წარმომადგენელთა „კერძო საკუთრებაა", მაგრამ ჩამოსულთა შორის ბევრია თანრიგოსანი და იმის უნარი შესწევთ, რომ სექციას ან გუნდს უხელმძღვანელონ. აი ასეთი ამხანაგები გამოვავლინეთ, მოვესაუბრეთ და საქმე ჩავაბარეთ.

ასეთმა პრაქტიკამ გაამართლა. შერჩეული ამხანაგები უკვე დამოუკიდებლად უძღვებიან სექციებს, მათ სხვებიც კი აიყოლიეს საზოგადოებრივ მუშაობაში. განსაკუთრებით აქტიურობენ საბუდალტრო განყოფილების I კურსელი შესამეთანრიგოსანი ფრენბურთელი მ. ავალქოვა, მისი ჯგუფელი ო. გადაბაძე, საქონელმცოდნეობის განყოფილების მეორეკურსელი მძლეოსანი გ. კიკნაძე, მისი თანაკლასელი ტანმოვარჯიშე ც. ქავთარაძე და სხვები.

პედაგოგთა და მოსწავლეთა შეთანხმებული მუშაობის შედეგად ტექნიკუმის ფიზკულტურულმა კოლექტივმა მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს.

გ. გრიგალაშვილი,
კალათბურთელთა გუნდის კაპიტანი

ლ ე ლ ო
მე-2 გვ. № 50 (1686)

ხურათებზე: ზევით — ტექნიკუმის სპორტსმენები ვარჯიშობენ საერთო ფიზიკურ მომზადებაში. ქვევით—ფრენბურთის ახალ მოედანზე.

შეხვედრა მიჩიგანელ სტუდენტებთან

ამას წინათ თბილისში სტუმრად მყოფი მიჩიგანის უნივერსიტეტის სახელოვანი ორკესტრის წევრები — სტუდენტები ეწვივნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და დაათვალიერეს იგი. სტუმრებს შორის ბევრი სპორტსმენი აღმოჩნდა, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს შეხვედროდნენ თბილისის უნივერსიტეტის ვაჟთა და ქალთა გუნდებს კალათბურთში.

ორივე შეხვედრა მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა. საინტერესო ბრძოლაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

ბ. ჩიკვაიძე

დასაწყისისათვის შედეგები კარგია

თბილისში, ლენინის სახელობის სტადიონზე დღეს დამთავრდება დედაქალაქის მძლეოსანთა შეჯიბრება სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდებს შორის. ეს არის საკავშირო პირველობის წინ თბილისელ სპორტსმენთა პირველი ოფიციალური შეჯიბრება მიმდინარე სეზონში.

განსაკუთრებით დაბალი იყო მაჩვენებლები 5000 მეტრზე რბენაში, სადაც გამარჯვებულ ა. ევსეევის შედეგი არ გაცილებია 16.16,4-ს და 400 მ ქალთა რბენაში, როცა დინამოელმა ვ. საიბეგიანმა დისტანციის გარბენას მოანდომა 1.06,8 და სხვ.

დამაკმაყოფილებელი შედეგები იქნა ნაჩვენები ვაჟთა შორის 100 მ რბენაში. აქ თბილისის თითქმის ყველა უძლიერესი სპორტსმენი გამოვიდა სტარტზე. მათ უკვე წინასწარ გარბენებში ცხადყვეს თავიანთი უპირატესობა კარგი შედეგებით სამნი — ლოკომოტიველი ლ. ანთაძე, სპარტაკელი ე. ლომთაძე და დინამოელი ზ. ჯარაშნელი ერთნაირი შედეგით — 10,7 შევიდნენ ფინალში. ცხადია უძლიერესთა გარბენს უკეთესი შედეგები უნდა შეეტანა ოქმებში. ასეც მოხდა. ფინალმა გამარჯვება მოუტანა ე. ლომთაძეს, რომელმაც აჩვენა 10,5 და პირველი ადგილი დაიკავა. მას 0,1 წამით ჩამორჩა ლ. ანთაძე, რომელმაც თავის მხრივ ამავე შედეგით აჯობა ზ. ჯარაშნელს.

სეზონის დასაწყისისათვის საყვედური არ ეთქმის ბადროს მტყორცნელ გ. გუდაშვილსაც („კოლმეურნე"), რომელმაც პირველი თანრიგის შედეგით — 48 მ 41 სმ. გაინადდა უძლიერესის სახელი, აღსანიშნავია, რომ ეს მზარდი მძლეოსანი ჯერ კიდევ შარშან რამდენჯერმე მიუახლოვდა ოსტატობის ზღვარს და უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ამოცანას წელს განახორციელებს.

პირველი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში პირველ ჯგუფში ლიდერობენ „დინამოს", მეორეში — „შრომითი რეზერვების" სპორტსმენები.



იზრდება თანრიგოსანთა რიცხვი

თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე მოეწყო შეჯიბრება ცხენოსნობაში, რომლის მიზანი იყო საცხენოსნო სპორტული ბაზის ახალბედა სპორტსმენთაგან თანრიგოსნების გამოვლენა.

დამწყებ სპორტსმენთაგან 12-მა შეასრულა III თანრიგი, ხოლო მესამეთანრიგოსანთა შორის 4 გახდა II თანრიგის მქონე. თანრიგოსანთა მომზადების საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მწვრთნელმა ა. დგებუაძემ.

თ. ბაჩეჩილაძე



„ბ" კლასში

„დინამო" (ბათუმი) - „ბანგა" (კაუნასი) — 1:0

განვლილ კვირას ბათუმში შედგა მორიგი მატჩი საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის, თამაშობდნენ „დინამო" (ბათუმი)-„ბანგა" (კაუნასი).

დაიწყო მატჩი და დინამოელებმაც დაიწყეს ხანგრძლივი შეტევა მოწინააღმდეგის კარზე. სახიფათო მომენტები ერთიმეორეზე იქმნებოდა კაუნასელთა კართან, მაგრამ გადიოდა დრო და შედეგი კი არ ჩანდა. „დინამოს" ფორვარდები ტექნიკური ხასიათის შეცდომებს უშვებდნენ შეტევის საბოლოო ფაზაში და მათი დარტყმები არ იყო ზუსტი.

42-ე წუთზე კაუნასელთა კარზე მოწოდებულ იქნა კუთხური, აურშუბაძემ თავით მიიღო ბურთი და ზუსტი დარტყმით გაგზავნა იგი „ბანგას" კარში.

ამ გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი ბათუმელთა სასარგებლოდ. მეორე ტაიმში ანგარიში არ შეცვლილა. გამარჯვება დარჩათ ბათუმელებს—1:0.

ვ. ფოსეშვილი

• • •

სურათზე: მომენტი განვლილი მატჩიდან.

ფოტო ა. ტუღუშისა.

ჩემპიონი ვერ მოხვდა ფინალში

საერთაშორისო მატჩი ფარიკაობაში

ერთი წლის წინათ საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრები გუნდი საერთაშორისო მატჩის ჩასატარებლად ეწვია პოლონეთს, ბრძოლა მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა. ქართველი სპორტსმენებიდან ვერც ერთმა ვერ შეძლო საპრიზო ადგილზე გასვლა.

სპორტულ წრეებში ეს ფაქტი კანონზომიერად ცნეს — პოლონელი მოფარიკავეები ხომ მაღალი კლასის სპორტსმენებად არიან აღიარებული. და აი, კვირას, ეს სახელმოხვეჭილი მოფარიკავეები საპასუხო ვიზიტით ეწვივნენ ჩვენს დედაქალაქს. მატჩისადმი ინტერესი გაზარდა იმანაც, რომ მასში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ სომხეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრები.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ პოლონელებმა ჩვენთან გამოგზავნეს არა ცალკეულ სპორტსმენთაგან გაკომპლექტებული ნაკრები გუნდები, არამედ სპორტსაზოგადოებათა ის უძლიერესი კოლექტივები, რომლებმაც პოლონეთის ჩემპიონობა მოიპოვეს სხვადასხვა იარაღში. ასე, მაგალითად, რაპირისტ ქალთა სპორტულ ღირსებას კატოვიცის „გურნიკის" მოფარიკავეები იცავდნენ, ვაუებისას კი გლევიცკის „სპორტოვის" წარმომადგენლები. ესპადრონითა და დაშნით მოფარიკავეთა გუნდები „ლეგიის" სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული.

ასუსტებს თუ არა ეს გარემოება მთლიანი კოლექტივის საბრძოლო პოტენციალს? რასაკვირველია არა. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ საქართველოში ჩამოსვლამდე ორი კვირით ადრე „ლეგიის" დაშნით მოფარიკავეებმა მონაწილეობა მიიღეს ჰაიდენ-ჰაიმში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) გამართულ 12 ქვეყნის საკლუბო გუნდების პირველობაზე და ევროპის თასიც მოიპოვეს.

გარდა ამისა პოლონელებს თავისებური „ბარომეტრიც" აქვთ სპორტსმენთა მომზადების შესამოწმებლად: ყოველი კვარტალის ბოლოს იმართება 28 უძლიერესი მოფარიკავის გამოსავლინებელი შეჯიბრება, რის შედეგადაც ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა ენდობა არა ჩემპიონს, არამედ ამ კვარტალში საუკეთესოდ მომზადებულს. ასე, მაგალითად, ამ შეჯიბრების წინ გამართულ ტურნირში პოლონეთის 1960 წლის ჩემპიონმა და ოლიმპიური თამაშების მონაწილემ ა. კრიიცკიმ მხოლოდ მესამე ადგილი მოიპოვა. იგი ამავე ნომრად იქნა წამოყვანილი საქართველოში. ა. კრიიცკი დამარცხდა საერთაშორისო ბრძოლებში გამოუცდელ მ. კვანტალიანთან და ი. პეტროსოვთან. ოლიმპიელმა ფინალურ ჯგუფში შესვლაც ვერ მოახერხა. ეს იყო პირველი სიურპრიზი ამ საერთაშორისო მატჩში, რომელიც დაშნით მოფარიკავეთა პირადი პირველობით დაიწყო.

შეჯიბრებისათვის საუკეთესოდ მომზადებული აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი გ. კოსტავა, რომელმაც მისთვის ჩვეულ აგრესიულ სტილში ჩაატარა ყველა შეხვედრა და 11 შეხვედრიდან ათის მოგებით პირველი ადგილი დაიკავა. ერთადერთი დამარცხება მან მოწინააღმდეგის ძალის შეუფასებლობით მიიღო. ეს იყო ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მუშა 17 წლის მ. კვანტალიანი, რომელმაც წარმატებით აღნიშნა თავისი ნათლობა საერთაშორისო შეხვედრაში და მეექვსე ადგილი მოიპოვა, რაც ახალგაზრდა მოფარიკავის დიდი გამარჯვებაა.

კარგი დებიუტი ჰქონდა თბილისელ ფარიკაობის სექციაში მეცადინეობის სურვილი აქვს 60 ბავშვზე მეტმა. განცხადა, მაგრამ როგორც კი პრაქტიკულ მეცადინეობაზე მიდგა საქმე, მე საშინლად უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. სულ-ლად ორი ცალი რაპირისა და ერთი ნიღაბის მეტი არაფერი იყო... უხერხული მდგომარეობიდან მიხსნა მხოლოდ სხვა რაიონში სამუშაოდ გადასვლამ, მაგრამ ამით საკითხი ხომ არ მოგვარებულა?!

აჭარის ყველა დასახლებულ პუნქტში შენიშნავთ ბავშვებს, რომლებიც ხისგან გაკეთებული დაშნებით კენწლაობენ, ფარიკაობენ, რატომ არ უნდა მიეცეს ფართო გასაქანი ახალგაზრდობის ასეთ დაინტერესებას?

ნ. კილაძე

*

ხაჭართველოს, პოლონეთისა და სომხეთის მოფარიკავეთა საერთაშორისო მატჩი ხაზეიმო ცერემონიალით დაიწყო. გულთბილად მიეხალმნენ ერთმანეთს მოძმე ხალხების სპორტსმენები, გადასცეს საჩუქრები და ალმები.

* * *

სურათზე: საქართველოს მოფარიკავეთა გუნდის კაპიტანი, სპორტის ოსტატი გ. კოსტავა სამახსოვრო ალამს გადასცემს სომხეთის გუნდის კაპიტანს, სპორტის ოსტატ მ. ჯაუკიანს (მარცხნივ).

ფოტო მ. ზარგარიანისა.

*

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 50 (1686)

ლენინური ბანერი

ბესლიანური

ბესლიანური





წითელწყაროს რაიონში საინტერესოდ ჩატარდა გუნდური პირველობა ჭადრაკში. პირველ ქვეჯგუფში გაიმარჯვა კირის ქარხნის გუნდმა, მეორე ადგილი წილად ხვდა სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის გუნდს. მეორე ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გამოვიდა პარტიის რაიკომის, ხოლო მეორე ადგილზე — დაბის საბჭოს გუნდი.

ფინალურ ტურნირში გაიმარჯვა კირის ქარხნის ნაკრებმა, რომელშიც შედიოდნენ შ. ცხვარაძე, პ. ხუციშვილი და ვ. მაძღარაშვილი.

გ. გოჩიტაშვილი

თერჯოლის რაიონის ბარდუბნის საშუალო სკოლის მოშაშეებმა გამართეს პირველობა შაშში 100 მოსწავლის მონაწილეობით, ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა თ. ბოჭორიშვილმა.

ლ. ჯიშიაშვილი

* * *

სოღანლუღის უსინათლოთა სასწავლო-საწარმოო წამოწყებათა დაწესებულებაში დამთავრდა საჭადრაკო ტურნირი, რომელიც თითქმის ერთ თვეს გრძელდებოდა. დაძაბული ბრძოლის შემდეგ პირველი სამი ადგილი დაიკავეს მიროვნომ, კოკაშვილმა და მამედოვმა, რომლებმაც მიიპოვეს უფლება მონაწილეობა მიიღონ საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ჩემპიონატში.

ვ. ჯაოშვილი

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამთავრდა საჭადრაკო ჩემპიონატი. ნახევარფინალებში მონაწილეობდა 50 თანრიგოსანი, ხოლო ფინალში ჩემპიონის სახელისათვის ერთმანეთს ეცილებოდა 19 მოჭადრაკე.

ჩემპიონის სახელი მოიპოვა მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტმა, ოსტატობის კანდიდატმა მ. თხელიძემ. მეორე ადგილზეა ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი თ. ჯანხუტაშვილი.

ბ. ჩიკვაიძე

* * *

ბათუმში დამთავრდა საქართველოს ქალაქებისა და რაიონების (მეორე ჯგუფის) მოსწავლეთა რესპუბლიკური შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში.



გოგონათა შორის გაიმარჯვეს ბორჯომელებმა, ხოლო ვაჟებს შორის — რუსთავის გუნდმა. საერთო ჩათვლაში პირველობა დარჩათ ბორჯომელებს.

პირად ჩათვლაში გოგონათა შორის უძლიერესი აღმოჩნდა მ. კალამინცევა (რუსთავი), ჭაბუკებს შორის ო. შპილევოი (თელავი). გოგონათა წყვილებს შორის პირველნი იყვნენ კალამინცევა-გოჭაძე (რუსთავი), ჭაბუკებს შორის შპილევოი-მუკმანიანი (თელავი).

მ. ბედოშვილი

* * *

სურათებზე: მარცხნივ — უსინათლოთა სასწავლო-საწარმოო წამოწყებათა თანამშრომელთა ტურნირი, მარჯვნივ — გორის მოტოციკლისტებმა მოაწყვეს ლაშქრობა გორი-ბაქო-გორი. ამ სურათზე აღბეჭდილია მომენტი, როცა მოტოციკლისტები თბილისს ეწვივნენ.

ფოტო გ. თარალაშვილისა.

ორი პრეტენდენტი

საფრანგეთის ჩემპიონატის დასასრულამდე 7 ტური დარჩა. პირველ ადგილზეა „მონაკო“, რომელსაც ერთი ქულით ჩამორჩება „რესინგი“, რომლის თავდამსხმელებმა უკვე შეძლეს 73 (!) ბურთის გატანა. გუნდის მწვრთნელმა პიბარომ მიმდინარე სეზონში გუნდი საგრძნობლად გააახალგაზრდავა და წინასწარვე „მოიბოდეშა“, რომ წელს პარიზელები არ „აპირებენ“ ჩემპიონობას.

ჩემპიონობას საბოლოოდ გამოეთხოვა „რეიმსი“, რომელმაც სხვადასხვა მიზეზის გამო დაკარგა რამდენიმე წამყვანი ფორვარდი, უურადღებას იპყრობს „ნიცას“ დიდი მარცხი. საფრანგეთის ექს-ჩემპიონი ამჟამად მხოლოდ მეათე ადგილზეა. მეორე ლიგაში გაიმარჯვა „სოშომ“, რომლის კარს იცავს წინათ ევროპაში უძლიერეს მეკარედ ცნობილი რემეტერი.

იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობა

იუგოსლავიის ფეხბურთელთა კავშირმა გამოაქვეყნა ეროვნული ნაკრების შემადგენლობა, რომელმაც ორი მატჩი უნდა ჩაატაროს: 7 მაისს უნგრეთის გუნდთან (მეხანაგური შეხვედრა) და 4 ივნისს პოლონეთის ნაკრებთან (მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი).

აი იუგოსლავიის გუნდის შემადგენლობა: მეკარეები შოშკიჩი და კრივოკუჩა; მცველები დურკოვიჩი, ზებეკი, იუსუფი, შიაკოვიჩი; ნახევარმცველები მილადინოვიჩი, პერუშიჩი, შანტეკი; თავდამსხმელები: ქნეზი, შეკულარეცი, მუიჩი, გალიჩი, ერკოვიჩი, მატუში და სკობლარი.



პოლონური გაზეთის „პშეგლონდ სპორტოვის“ მიმომხილველი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იუგოსლავიის ფეხბურთელთა კავშირის ხელმძღვანელობამ დისკვალიფიკაცია მოუხსნა და ნაკრებში კვლავ შეიყვანა თავდასხმის ცნობილი „დირიჟორი“ შეკულარეცი, რომელიც დასჯილი იყო არაეთიკური საქციელისათვის. საყურადღებოა, რომ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მიტიჩმა უკუაგდო იუგოსლავიის ყველაზე უფრო შედეგიანი ფორვარდის კოსტიჩის კანდიდატურა.

კელე კვლავ ფორმაშია

დაიწყო ბრაზილიის ე. წ. „მაქსიმალური ტურნირის“ (ქვეყნის არაოფიციალური ჩემპიონატი) გათამაშება. მონაწილეობენ რიო-დე-ჟანეიროსა და სან პაულუს შტატებში გამარჯვებული გუნდები —5-5 გუნდი. ინტერესი გამოიწვია „სანტოსისა“ (სან-პაულუ) და „ფლამენგოს“ (რიო-დე-ჟანეირო) შეხვედრამ, რომელსაც 150 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. თავიდანვე ცხადი გახდა „სანტოსის“ ტაქტიკური უპირატესობა დორვალი (№ 8), პელე (№ 10) და პეპე (№ 11). სამ-ოთხსვლიანი კომბინაციებით სწრაფად აღწევდნენ მეტოქეთა კარამდე. „სანტოსმა“ დამსახურებულად მოიპოვა გამარჯვება ანგარიშით 7:1. ოთხი ბურთი გაიტანა პელემ. როგორც ჟურნალი „ფუსბალ ვოხეს“ სამხრეთ ამერიკელი კორესპონდენტი ფ. ჰაკი იუწყება, პელე გამოჯანმრთელდა მექსიკაში გასტროლების დროს მიღებულ ტრავმის შემდეგ და „სანტოსის“ თავდასხმის ღირსეული ლიდერია.

საერთაშორისო ტურნირი ნიუ-იორკში

ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით წელს მოეწყობა მორიგი რიგითი მეორე საერთაშორისო ტურნირი ნიუ-იორკში.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ინგლისის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „ევერტონი“, „კოლმარნოკი“ (შოტლანდია) „კონკორდია“ (კანადა), ბუქარესტის „დინამო“, ნიუ-იორკის შარშანდელ საერთაშორისო ტურნირში გაშარჯვებული, რიო-დე-ჟანეიროს შტატის პირველი ლიგას გუნდი „ბანგუ“ (ბრაზილია), „ბარსელონა“, „ესპანიოლი“ (ესპანეთი), ავსტრიის ჩემპიონი „რაპიდი“, პრაღის „დუკლა“, საფრანგეთის მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერი „მონაკო“, „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) და ისრაელის გუნდი. ამ საინტერესო ტურნირში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების უძლიერესი გუნდი „ნიუ-იორკ ამერიკენი“.

რედაქტორი ი. უგულავა.



ახალგაზრდა მხატვართა კუთხე

ესიტყვიდ...

ნახ. ა. ერაძისა.



ბრონტოზავრი და ფეხბურთი

ხამხრეთ იტალიის ერთ-ერთ პატარა ქალაქში აკეთებდნენ ფეხბურთის მოედანს. სწორედ მაშინ, როცა თხრიდნენ ორმოებს ძელების ჩასასმელად, წერაქვი მოხვდა რაღაც მყარ სხეულს. ეს აღმოჩნდა ბრონტოზავრის გაქვავებული ჩონჩხი.

ქალაქის მმართველობამ აღნიშნული ტერიტორია „ისტორიულ საგანძურად მიიჩნია“ და... ფეხბურთელები მინდვრის გარეშე დარჩნენ.

25 აპრილს

ფ. ძერჟინსკის სახელობის კლუბში

გ ა ი ხ ს ნ ე ბ ა

ქალთა მეორე საერთაშორისო ტურნირი

ჭ ა ღ რ ა კ ა შ ი

მონაწილეობენ: გდრ-ს, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და საბჭოთა მოჭადრაკეები.

დასაწყისი 18 საათზე.

1 ტური გაიმართება რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში 26 აპრილს.

დასაწყისი 17 საათზე.

„ბ უ რ ე ვ ე ს ტ ნ ი კ ი ს“ ს ტ ა დ ი ო ნ ი

საერთაშორისო შეხვედრები

ქ ა ლ ა თ ბ უ რ თ შ ი

27 აპრილს

(ქალები)

აშშ (ნაკრები) — სსრკ (ახალგაზრდული ნაკრები)

(ვაჟები)

აშშ (ნაკრები) — სსრკ (ახალგაზრდული ნაკრები)

დასაწყისი 18 ს. 15 წ.

28 აპრილს

(ქალები)

აშშ (ნაკრები) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი)

(ვაჟები)

აშშ (ნაკრები) — „დინამო“ (თბილისი)

დასაწყისი 18 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლენინი“, ტელეფონები: რედაქტორისა—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

2 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა-ს პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05519